

**სტრანგირების ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 1 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

• ფანიელი ბელგიის წინააღმდეგ – (განაცხადი №11892/08)

აპლიკანტი მისელ ფანიელი ბელგიის მოქალაქეა, დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს მოდავეში (ბელგია). ის გაასამართლეს დაუსწრებლად და მიუსაჯეს ექვსთვიანი პატიმრობა. მისი გოგონა, კი გადააგზავნეს ბავშვთა თავშესაფარში. აპლიკანტი მიუთითებს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სამართლიანი სასამართლოს უფლება). ის მიუთითებს, რომ მას შეეზღუდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და არ ეცნობა შესაბამისი ფორმალობებისა და ვადების შესახებ, რათა დროულად გაესაჩივრებინა მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 3000 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1255 ევრო – ხარჯებისა დასაფარავად.

• ლალასი ლიტვის წინააღმდეგ – (განაცხადი №13109/04)

აპლიკანტი მარიუს ლალასი ლიტვის მოქალაქეა და დაიბადა 1978 წელს. ის ამჟამად მიმალვაშია. საკითხი შეეხება ბატონი ლალასის საჩივარს, რომელშიც მითითებულია, რომ ის დაიჭირა პოლიციის საიდუმლო აგენტმა 2002 წლის ივნისში, როდესაც ამარაგებდა ნარკოტიკებით. შედეგად მას წაუყენეს ბრალი, გაასამართლეს და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. შემდგომში ის ჩივის, რომ სასამართლოზე არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტულად ის არსებითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მისი დაპატიმრება მოხდა საიდუმლო აგენტი პოლიციელის მიერ. აპლიკანტს მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვა გონივრულ ვადებში).

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის კუთხით. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში კოვენციის მოთხოვნათა დარღვევა თავისთავად გულისხმობს სამართლიან დაკმაყოფილებას არამატერიალური კუთხით. სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც ინდივიდი გაასამართლდება სასამართლოს მიერ საქმის არასამართლიანი განხილვებით, საქმის გადასინჯვა ან ხელახლი განხილვა არის პრინციპში უკელაზე მისაღები ფორმა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

• გელა და ბიალეკი პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №15924/05)

აპლიკანტები დოროთა გელა და პაველ ბიალეკი პოლონეთის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1974 და 1977 წლებში და ცხოვრობენ კიელცეში (პოლონეთი). კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით აპლიკანტები ჩივიან, რომ მათ მიერ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას ეხებოდა, არასამართლიანი იყო. სხვა მოთხოვნებთან ერთად, ისინი მიუთითებენ, რომ პოლიციის მიერ უკანონოდ იქნა მოპოვებული მტკიცებულებები.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები.

• კაბა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი 1236/05)

აპლიკანტები ჰავა კაბა, ედანურ კაბა და ელიფ კაბა, სამივე არის თურქეთის მოქალაქე და ცხოვრობენ სტამბულში. ისინი არიან გარდაცვილი იუსუფ კაბას ქალიშვილები და მეუღლე. იუსუფ კაბა იყო პოლიციის ოფიცერი, რომელიც 2003 წელს გარდაიცვალა სიმსივნით. საქმე ეხება აპლიკანტების განაცხადს, რომლის მიხედვითაც მათ ვერ შეძლეს მიეღოთ კომპენსაცია სასამართლოს მეშვეობით მათი მარჩენალის გარდაცვალების გამო. განმცხადებლების აზრით, იუსიფ კაბას გარდაცვალების მიზეზი იყო ქიმიური ნივთიერებების აფეთქება ჰასკოი დოკში. მათ ვერ შეძლეს სასამართლო ბაჟის გადახდა და ადგოკატის დაქირავება. შესაბამისად, განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 3000 ევროს გადახდა არამატერიალური ზარალის ასანაზღაურელად.

• ნევრუზ ბოსქურთი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №27335/04)

აპლიკანტი ნევრუზ ბოსქურთი თურქეთის მოქალაქეა. დაიბადა 1977 წელს. ის დააპატიმრეს 1999 წელს ქურთა პარტიის (უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციი) წევრობაში ეჭვის გამო, რომელიც თურქეთში უკანონოდაა ცნობილი. მას ბრალად ედებოდა შეიარაღებული თავდასხმაში მონაწილეობა, რომლის დროსაც სოფლის ერთ-ერთი მცენლი დაიღუპა. 2003 წელს მას მიესაჯა სამუდამო პატიმრობა. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, მისი საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის გამო, ასევე პოლიციაში პატიმრობის პერიოდში მას არ მიეცა ადგოკატის აქვანის საშუალება და მთავარი პროკურორის ბრალდებაზე მოსაზრების გამოთქმის უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სასამართლოს შემადგენლობისა და პროკურორის ბრალდებაზე მოსაზრების გამოთქმის უფლების არქონის გამო) და კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილი მე-6 მუხლის I ნაწილთან მიმართებაში ადგომატის აუგანის უფლების შელახვის გამო.

სახელმწიფოს დაეკისრა 3000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების კუთხით.

ანალოგი საქმეები

- სეგერი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №29195/05)

ამ საქმეში აპლიკანტი ჩივის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებლა მას ჩამოართვეს პირადი ქონება ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

გაჭიანურებული საქმეები

- ქზანიჩი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №40293/06)
- უიგანიკი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №38636/06)
- ლანტოსი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №33807/07)

სამივე საქმეზე სასამართლომ დარღვეულად სცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.